საქართველოს

თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №1

2025 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

„სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით (ვებგვერდი, 21/07/2011, სარეგისტრაციო კოდი: 120010000.22.026.016060) დამტკიცებულ სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 13^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^2 მუხლი:

,,მუხლი 13^2. სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ზღვრული ასაკი

1. სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ზღვრული ასაკია:

ა) უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 55 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 60 წელი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის – 65 წელი.

2. სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უფროსი (მხოლოდ პოლკოვნიკი) და უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებს საკუთარი სურვილითა და მინისტრის თანხმობით, სამსახურის ვადა ზღვრულ ასაკს ზევით შეიძლება გაუგრძელდეთ 5 წლამდე ვადით.“.

2. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;“.

მუხლი 2

ამ ბრძანების მოქმედება ასევე ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედებამდე სამხედრო პოლიციაში დანიშნულ მოსამსახურეზე (სპეციალური წოდების მქონე პირზე).

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**